საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

ბრძანება № 284

თბილისი „26“ 03 2018 წ

„დაწყებითი საფეხურის სასკოლო სახელმძღვანელოების/სერიების მაკეტების საჯარო განხილვის ვადის დადგენასთან დაკავშირებით“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 06 მარტის N199 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის საფუძველზე და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 2018 წლის 26 მარტის N329675 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „დაწყებითი საფეხურის სასკოლო სახელმძღვანელოების/სერიების მაკეტების საჯარო განხილვის ვადის დადგენასთან დაკავშირებით“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 06 მარტის N199 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 პუნქტი:

„1^1. დაწყებითი საფეხურის სასკოლო სახელმძღვანელოების/სერიების მაკეტების (შემდეგში - სახელმძღვანელოს მაკეტი) საჯარო განხილვის დამატებით ვადად განისაზღვროს 2018 წლის 26 მარტიდან 1 აპრილის ჩათვლით პერიოდი. სახელმძღვანელოების მაკეტების საჯარო განხილვაში მონაწილეობაზე დაიშვას დაწყებითი საფეხურის სასკოლო სახელმძღვანელეობის/სერიების გრიფირებაზე წარმოდგენილი და წარმოებაში მიღებული განაცხადები (მაკეტები).“;

2. დაევალოს:

ა) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს - მედიისა და საზოგადოების პერმანენტული ინფორმირება სახელმძღვანელოების მაკეტების საჯარო განხილვის შესახებ;

ბ) სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას - გრიფირების ადმინისტრირების ელექტრონული სისტემის შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველყოფა საჯარო განხილვის მიმდინარეობისას;

გ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტს - საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის მიწოდება და კოორდინაცია;

დ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დაფუძნებულ სსიპ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს სახელმძღვანელოების მაკეტების საჯარო განხილვის ხელშეწყობა მასწავლებლებისათვის საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის მიწოდების გზით.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, N6).

მიხეილ ჩხენკელი